იუსტიციის
სამინისტრო

ციფრული
მმართველობის
სააგენტო

2025 წლის ანგარიში

ციფრული მმართველობის სააგენტო

სარჩევი

1	ციფრული მმართველობა	4
2	ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოება	22
3	საერთაშორისო ურთიერთობები	31
4	კვლევითი საქმიანობა	36
5	სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის საქმიანობასა და ღონისძიებაში მონაწილეობა	37
6	ადამიანური რესურსების მართვა	41
7	საზოგადოებასთან ურთიერთობა	42
8	საფინანსო საკითხები	44

2025

ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ

სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო“ წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც 2020 წელს შეიქმნა სსიპ - სმართ ლოჯიქისა და სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შერწყმის შედეგად, თუმცა ციფრული მმართველობის განვითარების ისტორია 2010 წლიდან იწყება. სააგენტოს მისიაა ნდობაზე დაფუძნებული ციფრული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება, უსაფრთხო და ეფექტიანი ელექტრონული სერვისების „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მიწოდება და მონაცემთა უსაფრთხო გაცვლა. მისი ძირითადი მიმართულებებია ციფრული მმართველობა, ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოება და IT მხარდაჭერა. სააგენტო მართავს ისეთ მნიშვნელოვან პორტალს როგორიცაა My.gov.ge დაუზრუნველყოფს მნიშვნელოვანი სახელმწიფო ციფრული ინფრასტრუქტურის უსაფრთხო და გამართულ ფუნქციონირებას.

1 ციფრული მმართველობა

1.1 სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული ელექტრონული სისტემები

ელექტრონული სერვისების მიწოდება - MY.GOV.GE

ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი - MY.GOV.GE - წარმოადგენს საჯარო და კერძო სექტორში არსებული ელექტრონული სერვისების ერთიან ვებ-პორტალს, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „ციფრული მმართველობის სააგენტო“. MY.GOV.GE მუდმივად ვითარდება და მასზე პერიოდულად ემატება ახალი სერვისები. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ტიპის სამუშაოები და შედეგად:

- დაინერგა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან პროფესიული და უმაღლესი განათლების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის სერვისები;

- სატესტო პროცესშია საბანკო გადახდების, სამეწარმეო რეესტრისა და ბირთვული უსაფრთხოების სააგენტოს განახლებული მოდულები;
- განხორციელდა My.gov.ge-ს მობილური აპლიკაციის სისტემის Android და iOS პლატფორმების უახლეს ვერსიებთან თავსებადობის უზრუნველყოფა და პროგრამული კოდის შიდა სტრუქტურის გაუმჯობესების სამუშაოები (ე.წ. „რეფაქტორინგი“).

სტატისტიკური მონაცემები:

მაჩვენებელი	მნიშვნელობა
ელექტრონული სერვისების გამოყენების ჯამური მაჩვენებელი	15 904 524
პორტალზე ინტეგრირებული სერვისების რაოდენობა	9 (სულ ხელმისაწვდომი ~ 400)
სტანდარტულად ინტეგრირებული სერვისების გამოყენების მაჩვენებელი	2 330 677
ელ. დოკუმენტის მიწოდების სერვისის გამოყენების მაჩვენებელი	1 768 707
iframe ფორმატში ინტეგრირებული სერვისების გამოყენების მაჩვენებელი	13 074 460
რეგისტრირებული ფიზიკური პირები (31 დეკ. 2025)	18 707
რეგისტრირებული იურიდიული პირები (31 დეკ. 2025)	84 197

მონაცემთა გაცვლის ერთიანი სისტემა (ინფრასტრუქტურა)

ციფრული მმართველობის სააგენტო მართავს და ავითარებს მონაცემთა გაცვლის ერთიან სისტემას (Georgian Government Gateway - G3), რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციული სისტემების ურთიერთთავსებადობასა და მათ შორის მონაცემთა უსაფრთხო გაცვლას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში G3 ახალი პროექტის შექმნის მიზნით, მიმდინარეობდა დეველოპმენტის პროცესი. სისტემის პირველადი, საბაზისო, ოპერირებადი (Minimum Viable Product – MVP) ვერსიის რეალურ გარემოში გაშვებამდე, სისტემამ გაიარა სხვადასხვა ტიპის, მათ შორის, წარმადობის ტესტირება. აღნიშნულ პროექტზე დამატებითი სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია 2026 წლის განმავლობაში.

სტატისტიკური მონაცემები:

2025 წლის განმავლობაში:

მაჩვენებელი	მნიშვნელობა
მონაცემთა გაცვლის ერთიან ინფრასტრუქტურაში ახალი ჩართული ორგანიზაციები	17 (ჯამში ჩართულია 300 ორგანიზაცია)
ხელმისაწვდომი მთავარი სერვისები	176 (530 ქვე-სერვისი)
განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობა	268 057 383
გაგზავნილი ელექტრონული დოკუმენტები	1 068 738

ონლაინ ჩატი

მომხმარებლებთან კომუნიკაციის პროცესის გამარტივების მიზნით 2025 წელს დასრულდა ონლაინ ჩატის სისტემის დეველოპმენტი. ჩატი შექმნილია მოდულური პრინციპით, რაც საჭიროების შემთხვევაში იძლევა სხვა სახელმწიფო უწყებების მიერ ადმინისტრირებულ სისტემებში ინტეგრაციის შესაძლებლობას.

შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის ელექტრონული სისტემა - ტაბელი

2025 წლის განმავლობაში განხორციელდა არაერთი პრობლემური შემთხვევის იდენტიფიცირება, მათი კომპლექსური ანალიზი და სრულად აღმოფხვრა. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის დასრულებული იყო ყველა პროგრამული სამუშაო, რაც უზრუნველყოფს სისტემის ყველა მოდულის შემდგომ სტაბილურ ფუნქციონირებას.

ელექტრონული მართვის სისტემა (EMS)

მიმდინარეობდა „ადრესაციის", „წერილების დაგზავნისა" და „კონფიგურაციების" მოდულების დეველოპმენტი.



დოკუმენტბრუნვის ახალი ელექტრონული სისტემა (DES)

სისტემის ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში, აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს სერვისებისა და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროს ელექტრონული ხელმოწერის ინტეგრაციაზე.

ხელშეკრულებების მართვის და მონიტორინგის სისტემა (Contract Management and Monitoring System – CMMS)

ახალი სისტემის ფორმირების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში დასრულდა მომხმარებლის მართვისა და კონტრაქტორის მართვის მოდულები. ნაწილობრივ დასრულდა და მიმდინარეობდა მუშაობა ხელშეკრულებებისა და ხელშეკრულების ფინანსური ანგარიშგების, ასევე ძებნის ფუნქციონალზე, PDF სერვისის, ელ. ფოსტის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურის, ასევე LDAP-ის ინტეგრაციაზე. აღნიშნული მოდულები, სხვა უკვე დასრულებულ კომპონენტებთან ერთად, სრულად გადავიდა და განთავსდა სატესტო გარემოში.

1.2 სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მხარდაჭერა

საანგარიშო პერიოდში მუშაობა მიმდინარეობდა სხვადასხვა მნიშვნელოვან პროექტზე. მათ შორის აღსანიშნავია:

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა აღრიცხვის სისტემა (OIS)

დამკვეთი ორგანიზაცია: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქვეუწყებო დაწესებულება სპეციალური პენიტენციური სამსახური

სამუშაო რეჟიმში გაეშვა საზოგადოებრივი მისაღების მოდული, შემუშავდა და სამუშაო რეჟიმის საცდელ რეჟიმში გაეშვა სამედიცინო მოდულის გაყვანების ნაწილი. მიმდინარეობდა სპეც აღრიცხვის, რეჟიმისა და უსაფრთხოების, ასევე ცენტრალური სამართავი პანელის სამუშაო რეჟიმის მხარდაჭრა და სისტემაში ხორციელდებოდა მცირედი გაუმჯობესებები. მიმდინარეობდა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მოდულის დეველოპმენტი;

სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის განახლება

დამკვეთი ორგანიზაცია: სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატა

ახალი სისტემის ფორმირების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში შემუშავდა ავტორიზაციის, სანოტარო აქტზექმედებების (ცვლილება, გაუქმება, დუბლირება, ტიპები), ბიუროს პარამეტრების და მონაწილე პირების რეგისტრაციის მოდულები. სისტემაში ასევე დაემატა ძებნისფუნქციონალი, მასში დაინტეგრირდა HTML 2 PDF სერვისი და Storage API.

სააღსრულებო საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის განახლება

დამკვეთი ორგანიზაცია: სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო

საანგარიშო პერიოდში დასრულდა და სატესტო რეჟიმში გადავიდა ფაქტების კონსტატაციის, მოვალეთა რეესტრის, პრაქტიკოსების რეესტრის, მომხმარებლების მართვისა და საქმისწარმოების მოდულები. სისტემაში განხორციელდა ახალი სისტემური სერვისების ინტეგრაცია, გამოვლინდა და სრულად აღმოიფხვრა არაერთი ხარვეზი.

2026 წლის გაეროს საჯარო სერვისების ფორუმის საინფორმაციო ვებგვერდი www.unpsf2026.org

დამკვეთი ორგანიზაცია:
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

გაეროს საჯარო სერვისების 2026 წლის ფორუმის საინფორმაციო ვებ-საიტისთვის შემუშავდა ყველა ძირითადი CRM მოდული (ავტორიზაციის, სიახლეების, მენიუს სამართავი პანელის, გალერიის, დელეგატების მართვის, დღის წესრიგის მართვის, მომხმარებლების მართვის, ფრაზების და ძირითადი პარამეტრების მართვის მოდულები). მომზადდა ვებ-საიტის საჯარო გვერდები (როგორც მთავარი, ისე - შიდა გვერდები და ფორუმზე რეგისტრაციის მოდული). ვებ-აპლიკაცია ავტომატურად ერგება სხვადასხვა ტიპისა რეზოლუციის ეკრანს (სრული რესპონსიულობა). ყველა შემუშავებული მოდული გადავიდა სატესტო გარემოში და CRM წვდომები გაიწერა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამის წარმომადგენლებზე.



იუსტიციის სამინისტროს მართვის სისტემა - https://ms.justice.gov.ge

დამკვეთი ორგანიზაცია: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

სისტემას დაემატა ახალი მოდული, რაც სამინისტროს შესაბამის თანამშრომლებს დაეხმარება იუსტიციის სამინისტროს სისტემის ფარგლებში კვლევითი საქმიანობის პროცესის მართვაში.

იუსტიციის სახლის ერთიანი პორტალი (მოქმედი სისტემა)

დამკვეთი ორგანიზაცია: სსიპ იუსტიციის სახლი

სააგენტო, საანგარიშო წლის განმავლობაში, აქტიურად მუშაობდა ამ სისტემაში ხარვეზების გამოვლენისა და მათი აღმოფხვრის კუთხით, რათა შენარჩუნებულიყო იუსტიციის სახლის ბიზნეს პროცესების უწყვეტობა.

იუსტიციის სახლის ვებგვერდი www.psh.gov.ge

დამკვეთი ორგანიზაცია: სსიპ იუსტიციის სახლი

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ვებ-საიტის განახლებისა და მასზე ახალი მოდულების დამატების სამუშაოები.

იუსტიციის სახლის სისტემის განახლება

დამკვეთი ორგანიზაცია: სსიპ იუსტიციის სახლი

მიმდინარეობს ტესტირება, სერვისების შაბლონების აწყობა და არსებული სერვისების განახლების პროცესი.



საინფორმაციო პორტალი მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ - sdg.gov.ge

დამკვეთი ორგანიზაცია: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

გრძელდება მუშაობა დამკვეთის მიერ დაფიქსირებულ სხვადასხვა ტიპის მოთხოვნებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს სისტემის ფუნქციონალის განვითარებასა და გამოვლენილი ხარვეზების სისტემურად მოგვარებას.



საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მართვის ავტომატური საშუალებების სისტემა

დამკვეთი ორგანიზაცია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

დასრულებულია სისტემის დეველოპმენტი, მიმდინარეობს ტესტირება და ხარვეზების გასწორება, ასევე მონაცემებისა და დოკუმენტების მიგრაცია.

სისხლის სამართლის საქმისწარმოების სისტემა cis.gov.ge

დამკვეთი ორგანიზაცია: საქართველოს პროკურატურა

განახლდა სისტემის ინფრასტრუქტურა. მომზადებულია სტატისტიკის მოდულის არქიტექტურა. ამჟამად, მიმდინარეობს მოდულში მონაცემების დამატების პროცესი.

სისხლის სამართლის საქმისწარმოების ძველი პროგრამა e-enforcement.ge

დამკვეთი ორგანიზაცია: საქართველოს პროკურატურა

დასრულდა სისტემის ტექნიკური მხარდაჭერა. დაიგეგმა სატესტო გარემოში შესასრულებელი სამუშაოები.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის პორტალი www.enadep.gov.ge

დამკვეთი ორგანიზაცია: სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

დასრულდა პლატფორმის მეორე მოდულის - "სარეკომენდაციო ბაზების" ფუნქციონალის აღწერის დოკუმენტზე მუშაობა.

პენიტენციური სამსახურის ჯავშნების სისტემა

დამკვეთი ორგანიზაცია: პენიტენციური სამსახური

დასრულდა დეველოპმენტი და გაშვებულია რეალურ გარემოში.

კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ელექტრონული სისტემა

დამკვეთი ორგანიზაცია: ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი (ლიკვიდირებულია)

დასრულდა ავტორიზაციის/ავთენტიფიკაციის დეველოპმენტი. პროდუქტი გადაეცა დამკვეთს.

პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციის მართვის ელექტრონული სისტემა PDCEMS - Documents Development and Coordination Electronic Management System

დამკვეთი ორგანიზაცია: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

დამკვეთის მხრიდან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გასწორებულია ყველა ხარვეზი, მიმდინარეობს დამკვეთისთვის გადაბარების პროცესი.

იუსტიციის სახლის ახალი ელექტრონული სისტემა

დამკვეთი ორგანიზაცია: სსიპ იუსტიციის სახლი

სისტემის შექმნის მიზნით მიმდინარეობდა მუშაობა ტექნიკური აღწერის დოკუმენტზე და დეველოპმენტი. იუსტიციის სახლის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები. გრძელდება სისტემაში ახალი სერვისების ინტეგრაცია.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელების დაგეგმვისა და მონიტორინგის ელექტრონული სისტემა

დამკვეთი ორგანიზაცია: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველო ევროკავშირის დაახლოების მონაცემთა ბაზის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, დასრულდა მოთხოვნების დოკუმენტზე მუშაობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-საიტი

დამკვეთი ორგანიზაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-საიტები, police.ge და info.police.ge გაერთიანდა. დასრულდა დეველოპმენტი და ტესტირება. ვებგვერდი police.ge გაშვებულია რეალურ გარემოში.



დამატებით, განხორციელდა შემდეგი ტექნიკური სამუშაოები:

- ტექნიკურად აღიჭურვა საგარეჯოს, ცაიშის, ხელვაჩაურისა და გლდანის იუსტიციის სახლები;
- ქსნისა და რუსთავის პენიტენციურ დაწესებულებებში მოეწყო იუსტიციის სახლის ოპერატორების სამუშაო სივრცეები;
- ხაშურის მუნიციპალიტეტის პრობაციის ბიუროში, ყვარლის სასწავლო ცენტრსა და ზუგდიდის იუსტიციის სახლში (ქოლ-ცენტრისთვის) მოეწყო ფიზიკური და ლოგიკური ქსელები;
- საქართველოს ეროვნული არქივის გორის, ხაშურის და კასპის რეგიონული ოფისები ხელახლა ჩაერთო ერთიან კორპორატიულ ქსელში;
- პროკურატურის შენობებში (საგამოძიებო ნაწილი) მოთხოვნის საფუძველზე დასრულდა ტექნიკური და ქსელის გამართვის სამუშაოები;
- პრობაციის ბიუროებში დაინტეგრირდა განახლებული დაქტილოსკოპების (პიროვნების ბიოლოგიური იდენტიფიკაცია) ლიცენზიები;

სტატისტიკური მონაცემები:

მაჩვენებელი	მნიშვნელობა
ორგანიზაციები, რომლებსაც გაეწია IT და ინტერნეტ მომსახურება	178
ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფის მიერ დამუშავებული ინციდენტები	44 720
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის მასშტაბით გამართული კომპიუტერები	720
თბილისის იუსტიციის სახლში დამონტაჟებული IP ტელეფონები	50

1.3 ციფრული მმართველობის სფეროში პოლიტიკის დაგეგმვა და პოლიტიკის დოკუმენტების განხორციელების მონიტორინგი

შემუშავდა და დამტკიცდა **„საქართველოს ციფრული მმართველობის 2025 - 2030 წლების სტრატეგია“ და „საქართველოს ციფრული მმართველობის 2025 - 2030 წლების სტრატეგიის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა“.** საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებზე მუშაობა.

დამტკიცებული სტრატეგიის და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელების უზრუნველ-საყოფად, საჯარო მმართველობის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს საქმი-ანობის ხელშეწყობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, განისაზ-ღვრა საჯარო მმართველობის რეფორმის ციფრული მმართველო-ბის კომპონენტის სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მომზადდა შესაბამისი დებულება.

ციფრული მმართველობის სააგენტოს შესაბამისი დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ შემდეგი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესში:

- „ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია", 2025 წლის სამოქმედო გეგმა;
- „საქართველოს მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტების 2026 წლის გეგმა";
- „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის 2025 – 2027 წლების სამოქმედო გეგმა";
- „საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმა";
- „საქართველოს ფინტექის განვითარების სტრატეგია";
- „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია";
- „საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) 2023-2026 წლების სტრატეგიის 2026 წლის სამოქმედო გეგმა";
- „სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა";
- „საქართველოს ციფრული ჯანდაცვის სტრატეგია" და მისი სამოქმედო გეგმა;
- „განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმა";
- „2023-2026 წლების სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგიის" 2026 წლის სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტირების ინსტრუმენტი;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2025 წლის სამოქმედო გეგმა;
- „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2026-2029 წლების სტრატეგია";
- „პრემიერის ინიციატივა - რეგიონების განვითარება";

- „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2026 წლის კვლევითი სამოქმედო გეგმა";
- „2026-2035 წლების ეროვნული განვითარების სტრატეგიის" სიტუაციური ანალიზი და ლოგიკური ჩარჩო;
- ანალიტიკური დოკუმენტი - აკადემიურ სექტორთან თანამშრომლობის თაობაზე;
- „2024-2030 წლების ევროკავშირის ჭკვიანი სპეციალიზაცია (S3/Smart Specialisation) იმერეთისთვის" განხორციელების 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის 2024 წლის ანგარიში;
- „სახელმწიფო სერვისების განვითარების 2022-2025 წლების სტრატეგიის" 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და წლიური ანგარიშები;
- „ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის" შესრულების წლიური ანგარიშები (2024, 2025);
- „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სამოქმედო გეგმის" შესრულების წლიურ ანგარიშები (2024, 2025);
- „სამთავრობო პროგრამა 2024" და „სამთავრობო პროგრამა 2025-2028"-ის წლიური ანგარიში (საანგარიშო პერიოდი: 2024 წლის ივნისიდან 2025 წლის აპრილის ჩათვლით);
- საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმის" ანგარიში;
- „ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგიის" 2025 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში;
- სსიპ — ციფრული მმართველობის სააგენტოში „შეფასების ერთიანი სისტემის" (CAF) დანერგვასთან დაკავშირებული ანგარიში;
- „სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმის" 2025 ანგარიში;
- „საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2025 წლის სამოქმედო გეგმის" ანგარიში.

ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატის ფარგლებში, სააგენტოს ვალდებულებების განხორციელების მონიტორინგის მიზნით, მომზადდა:

- „საქართველოს ციფრული მმართველობის 2025 - 2030 წლების სტრატეგიის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმის“ პროგრესანგარიში;
- „ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგიის“ 2024 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში;
- „საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის“ 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის, 2024 წლის მონიტორინგის ანგარიში;

1.4 ციფრული მმართველობის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა, სტანდარტების შემუშავება

- სერვისის გამცემ უწყებებთან თანამშრომლობით მომზადდა „სახელმწიფო სერვისების კატალოგის ერთიანი ჩარჩო დოკუმენტი“. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, სერვისების კატალოგის ფორმირების მიზნით, ერთიანი სახელმწიფო რეესტრის პორტალზე (roi.gov.ge) განთავსდა კითხვარები. ამჟამად, სერვისის გამცემ უწყებებთან კოორდინაციით, მიმდინარეობს კატალოგის ეტაპობრივი შევსების პროცესი;
- მიმდინარეობდა მუშაობა „საქართველოს საჯარო სექტორში არსებული რეესტრების აღწერის ჩარჩოზე”;
- მუშაობა გრძელდება „ეროვნული ურთიერთთავსებადობის ჩარჩოს” კონცეფციაზე (მიმდინარეობს roadmap-ის შემუშავება).

1.5 სამართალშემოქმედება

- მომზადდა საინფორმაციო ბარათი მონაცემთა მართვის რეგულაციასთან (Data Governance Act) დაკავშირებით;
- მომზადდა იმ ნორმატიული აქტების შესწავლისა და შეფასების ანგარიში, რომლითაც რეგულირდება ფიზიკურ სივრცეში პირის იდენტიფიკაციის წესი/საშუალებები;
- მომზადდა კომენტარები ხელშეკრულების შაბლონზე „trust services mutual recognition agreement“ (MRA);
- მომზადდა ანგარიში ელექტრონული იდენტიფიკაციის, ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული კვალიფიციური სანდო მომსახურებების შექმნის/განახლების თაობაზე;
- მომზადდა ანგარიში ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (MY.GOV.GE) მარეგულირებელი დოკუმენტების შექმნისა და განახლების თაობაზე;
- მომზადდა პოზიცია ევროკავშირის 2019 წლის 20 ივნისის (EU) 2019/1151 დირექტივასთან (the use of digital tools and processes in company law) საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით მომზადებულ რეკომენდაციებზე;
- მომზადდა კომენტარები ელექტრონული გადაცემადი ჩანაწერების შესახებ გაეროს მოდალურ კანონთან („UNCITRAL Model Law on Electronic Transferable Record“) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე.

- მომზადდა კომენტარები საქართველოს კანონის პროექტზე „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე”;
- EU4Digital პროექტის ფარგლებში, უცხოელ ექსპერტებთან ერთად, მომზადდა საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტები, ელექტრონული იდენტიფიკაციის სქემების შეთანხმებისა და კვალიფიციური სანდო მომსახურების ურთიერთაღიარების შესახებ;
- ელექტრონული იდენტიფიკაციისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ ევროკავშირის განახლებულ რეგულაციასთან (eIDAS 2.0) ჰარმონიზაციის მიზნით შესწავლილ იქნა როგორც ძირითადი აქტი, ასევე მისი მაიმპლემენტირებელი დოკუმენტები და მომზადდა შესაბამისი ანგარიში რეგულაციის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ;
- ციფრული მმართველობის სფეროში სააგენტოს მიერ გასაწევ მომსახურებებთან დაკავშირებით დაინერგა ახალი შაბლონური ხელშეკრულებები. გრძელდება მათი გაფორმების პროცესი შემსყიდველ ორგანიზაციებთან.

2 ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოება

2.1 კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ზედამხედველობა

- დასრულდა მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებისგან მიღებული, იუმს-ის დანერგვის ფარგლებში შემუშავებული, დოკუმენტაციის/ანგარიშების ანალიზი („ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებიდან მესამე წლის განმავლობაში შესასრულებელი მოთხოვნები). აღმოჩენილი ხარვეზების განსახილველად და შემდგომი რეკომენდაციების გაცემის მიზნით 2026 წლის განმავლობაში გაგრძელდება შეხვედრები მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების წარმომადგენლებთან;

- 2025 წლის განმავლობაში ინფორმაციული უსაფრთხოების კანონმდებლობის დარღვევისთვის პასუხისმგებლობა დაეკისრა მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის 14 სუბიექტს. აქედან 11 სუბიექტის შემთხვევაში ადმინისტრაციული სახდელის სახით გამოყენებულ იქნა გაფრთხილება, ხოლო 3-ის შემთხვევაში – ჯარიმა. ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს შორის გვხვდება „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შემდეგი მუხლები: 104 (ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების დასანერგად განსაზღვრული ვადის დარღვევა), 106 (ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის ან პენეტრაციის ტესტის ჩატარების ვალდებულების შეუსრულებლობა) და 107 (ინფორმაციული უსაფრთხოების შინასამსახურებრივი გამოყენების წესების განსახილველად წარუდგენლობა ან შესასრულებლად სავალდებულო მითითების შეუსრულებლობა);

- სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული კიბერსაფრთხეების პრევენციის მიზნით, მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებთან გაზიარებულ იქნა ინფორმაცია რამდენიმე კიბერაქტორის ინდიკატორებისა და კრიტიკული სისუსტეების შესახებ;
- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს შესაბამისი თანამშრომლები საანგარიშო წლის განმავლობაში პერიოდულად ატარებდნენ სამუშაო შეხვედრებს სააგენტოს მიერ ავტორიზებულ ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტისა და შეღწევადობის ტესტირების განმახორციელებელ ორგანიზაციებს. სამუშაო შეხვედრების ფორმატში განხილულ იქნა კრიტიკულ ინფორმაციულ სისტემებთან დაკავშირებული გამოწვევები და აუდიტის პროცესის სამომავლო გაუმჯობესების საკითხები.

2.2 ავტორიზაცია ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის ან/და პენეტრაციის ტესტის ჩატარებისთვის

ციფრული მმართველობის სააგენტომ 2025 წლის განმავლობაში 10 ორგანიზაციას მიანიჭა ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის ჩატარების, ხოლო 6 ორგანიზაციას - შეღწევადობის ტესტის ჩატარების უფლებამოსილება. ამასთან, საანგარიშო პერიოდში, 2 ორგანიზაციას ვადაზე ადრე გაუუქმდა (ძალადაკარგულად გამოცხადდა) კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება, ხოლო ინფორმაციულ სისტემაში შეღწევადობის (პენეტრაციის) ტესტის ჩატარების უფლებამოსილება - 1 ორგანიზაციას.

2.3 ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების სფეროში სხვა უწყებების მომსახურება

- „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების პროცესში მხარდაჭერის მიზნით ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის მენეჯერის აუთსორსინგის მომსახურება გაეწია სსიპ — საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს, სსიპ — აღსრულების ეროვნულ ბიუროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სსიპ — საქართველოს ეროვნულ არქივს;
- 2025 წლის განმავლობაში ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის (იუმს) დანერგვის მიზნით მომსახურება გაეწია შემდეგ ორგანიზაციებს: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შპს „გარდაბნის თბოსადგური“, შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“.
- საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასა და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას გაეწია ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობის ანალიზისა და ბიზნეს პროცესების შესწავლის მომსახურება;
- სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ელექტრონულ სისტემაში კიბერსისუსტეების გამოვლენის მიზნით ჩატარდა შეღწევადობის 37 ტესტი და გაიცა შესაბამისი წერილობითი რეკომენდაციები მათი პრევენციის უზრუნველსაყოფად;

- ციფრული მმართველობის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფმა (CERT.DGA.GOV.GE) რეაგირება მოახდინა საქართველოს კიბერსივრცეში დაფიქსირებულ და როგორც კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებისგან, ასევე სხვა ორგანიზაციებისგან მიღებულ 168 სხვადასხვა ტიპის ინციდენტზე. მათი ნაწილის შესახებ ინფორმაცია შემდგომი რეაგირების მიზნით გადაიგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში და გაიცა რეკომენდაციები. კომპიუტერული ინციდენტების შესახებ ინფორმაცია დამუშავდა ანალიტიკური მიზნებისთვის.
- ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების სფეროში სააგენტოს მიერ გასაწევ მომსახურებებთან დაკავშირებით დაინერგა ახალი შაბლონური ხელშეკრულებები. გრძელდება მათი გაფორმების პროცესი შემსყიდველ ორგანიზაციებთან.

2.4 ციფრული მმართველობის სააგენტოს ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების უზრუნველყოფა

- შემოწმდა ციფრული მმართველობის სააგენტოს შიდა ინფრასტრუქტურაში არსებული სერვერების უსაფრთხოება, გამოვლინდა კრიტიკული მნიშვნელობის რამდენიმე სისუსტე და მომზადდა შესაბამისი ანგარიში;
- შემოწმდა SDA-API-ის პროგრამული კოდის უსაფრთხოება და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები;
- შემოწმდა (MY.GOV.GE) პლატფორმის CAPTCHA-ს ფუნქციონალის უსაფრთხოება და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები;
- განახლდა ელექტრონული მმართველობისა და კიბერუსაფრთხოების სასწავლო პლატფორმის (elearning.gov.ge) სერვერული სისტემა და პროგრამული უზრუნველყოფის მოდულები უახლეს ვერსიაზე.

2.5 ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელების მონიტორინგი

- დამტკიცდა „კიბერუსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლების 2025-2030 წლების სტრატეგია“ და „კიბერუსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლების 2025-2030 წლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა“, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებზე მუშაობა;

- ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენლები ჩართული იყვნენ კიბერუსაფრთხოების ახალი ეროვნული სტრატეგიის შემუშავების სპეციალურ სამუშაო ჯგუფში, რომელმაც ფუნქციონირება შეწყვიტა საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ლიკვიდაციის შემდეგ. უსაფრთხოების (მათ შორის, კიბერუსაფრთხოების) სფეროში პოლიტიკის დაგეგმვის ფუნქცია გადავიდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში და 2026 წელს იგეგმება კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის პროექტის შემუშავება.

ციფრული მმართველობის სააგენტო მონაწილეობდა სხვადასხვა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესში, რომელიც კიბერუსაფრთხოების საკითხებს ითვალისწინებდა, მათ შორისაა:

- „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის“ 2025 – 2027 წლების სამოქმედო გეგმა;
- „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის“ 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის 2024 წლის ანგარიში;
- „საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგიისა“ და მისი სამოქმედო გეგმის 2024 წლის ანგარიში;
- კიბერუსაფრთხოების გარემოს კვლევის კითხვარის რევიზია;
- კომენტარები ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2025-2028 წლების ეროვნული სტრატეგიის პროექტზე;
- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2025-2028 წლების ეროვნულ სტრატეგიისა და მისი 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმის რევიზია.



2.6 სამართალშემოქმედება

- ციფრული მმართველობის სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში მომზადდა საინფორმაციო ბარათი NIS2 დირექტივასთან დაკავშირებით, რომლის მიზანია ევროკავშირში კიბერუსაფრთხოების მაღალი, თანმიმდევრული და ერთიანი დონის უზრუნველყოფა. საქართველოსთვის NIS2 დირექტივასთან დაახლოება ნიშნავს მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს ეროვნული კიბერუსაფრთხოების სისტემის გაძლიერებისკენ. ევროპულ სტანდარტებზე დაფუძნებული სამართლებრივი და ტექნიკური ჩარჩოების დანერგვა საშუალებას მისცემს ქვეყანას უზრუნველყოს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის ეფექტიანი დაცვა. ამასთან, ჩამოყალიბდება რისკებზე დაფუძნებული რეგულირების მოდელი, რომელიც მოიცავს ინციდენტებზე რეაგირებისა და მონიტორინგის მექანიზმებს, კიბერუსაფრთხოების ზედამხედველობის გაძლიერებას, კერძო და საჯარო სექტორებს შორის კოორდინაციასა და მონაცემთა გაცვლის სტრუქტურებს. ეს დაახლოება ასევე გაზრდის საერთაშორისო ნდობას და განამტკიცებს საქართველოს პოზიციას ევროკავშირის სამართლებრივ და ციფრულ სივრცეში ინტეგრაციის გზაზე.

- „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების პრაქტიკაში იმპლემენტაციის ანალიზის შედეგად, მომზადდა აღნიშნული ბრძანებების ცვლილებების პროექტები.

2.7 სწავლება, ცნობიერების ამაღლება

- “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” თანამშრომლებისთვის ჩატარდა ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერჰიგიენის 10 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 250 მონაწილემ;
- ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერჰიგიენის ტრენინგები ჩატარდა 30 სკოლასა და 14 უნივერსიტეტში.
- 2025 წლის დეკემბერში დასრულდა ინფორმაციული უსაფრთხოების საბაზისო კურსის განახლება ელექტრონულ სასწავლო პლატფორმაზე - ELEARNING.GOV.GE. აღნიშნული კურსი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო ხელშეკრულების ფარგლებში ემსახურება.

- ამავე პლატფორმაზე განთავსებულ კიბერუსაფრთხოების საბაზისო და შესავალ კურსებზე საანგარიშო პერიოდში დარეგისტრირდა 624 მონაწილე. კურსი წარმატებით დაასრულა და სერტიფიკატი აიღო 366-მა პირმა (მათგან საჯარო მოხელე - 131);
- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 2 სხვადასხვა ტიპის ჯამში 5 ტრენინგი:
  - „ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლები: შესავალი, დანერგვა, აუდიტი“ (სასერტიფიკატო კურსი), 3 ტრენინგი, რომელშიც ჯამში მონაწილეობა მიიღო 51-მა პირმა და რომელთაგან გამოცდა წარმატებით ჩააბარა და სერტიფიკატი აიღო 29 მონაწილემ;
  - 2 ტრენინგი „ინფორმაციული უსაფრთხოების შიდა აუდიტორი”, რომელშიც ჯამში მონაწილეობა მიიღო 18-მა მონაწილემ;
- კიბერუსაფრთხოების სპეციალისტების პროფესიული განვითარებისა და სფეროს პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა 2 კიბერსავარჯიშო.

3 საერთაშორისო ურთიერთობები

- ციფრული მმართველობის სააგენტოსა და ქ. ბუქარესტის (რუმინეთი) ინფორმატიკის კვლევისა და განვითარების ეროვნული ინსტიტუტის (ICI) წევრებს შორის შედგა შეხვედრა, რომელზეც მხარეებმა განიხილეს ორი ქვეყნის ციფრული მმართველობის სისტემები და ინსტიტუციური ფუნქციები;

- მომზადდა საქართველოს 2025 წლის წლიური ეროვნული პროგრამისთვის (Annual National Programme/ANP) სსიპ — ციფრული მმართველობის სააგენტოს სამომავლო აქტივობები, რომლებიც შესაბამისობაშია საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მიზნებთან;

- შემუშავდა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2025 წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც აისახა ციფრული მმართველობის სააგენტოს სამომავლო აქტივობები. აღნიშნული გამომდინარეობს ასოცირების შეთანხმებით და ასოცირების 2021-2027 წლების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებებიდან;

- გრძელდება თანამშრომლობა სამხრეთ კორეის შინაგან საქმეთა და უსაფრთხოების საქმეთა სამინისტროსთან (MOIS) საგრანტო პროექტის განხორციელების თაობაზე. კორეულ მხარეს, მათი მოთხოვნის შესაბამისად, მიეწოდათ პროექტის განახლებული დოკუმენტაცია;

- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - „Re-engineering of Public Services and Digital Transformation“ მონიტორინგისა და შეფასების პროცესის მხარდასაჭერად მომზადდა ანგარიში, რომელიც ასევე გამოყენებული იქნება პროექტის III ფაზის დაგეგმვისთვის. ამასთან, გაიმართა სამუშაო შეხვედრა GIZ-ის სამწლიანი პროექტის შემფასებელ გუნდთან;

- ციფრული მმართველობის სააგენტო მონაწილეობდა დეკლარაციის „Hamburg Declaration on Responsible Artificial Intelligence (AI) for the Sustainable Development Goals (SDGs)” ტექსტის განახლების პროცესში. მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები და შენიშვნები, რომელთა ნაწილიც გათვალისწინებულ იქნა დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში. დეკლარაციის ტექსტი ერთობლივად იქნა შემუშავებული გაერო-ს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს (BMZ) მიერ და იგი მიღებულ იქნა 2025 წლის 2 ივნისს ჰამბურგის მდგრადობის კონფერენციაზე (Hamburg Sustainability Conference);

- გაიმართა შეხვედრა ყაზახეთის ქ. ყარაგანდას ეროვნული კვლევითი უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ჯგუფთან. მხარეებმა გაცვალეს ინფორმაცია ორი ქვეყნის სამართალწარმოების სექტორსა და სისხლის სამართლის საქმეების წარმოების პროცესში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გამოცდილების შესახებ;



- სამუშაო შეხვედრა გაიმართა SIGMA/OECD/GIZ-ის წარმომადგენლებთან სახელმწიფო მმართველობის და საჯარო ადმინისტრირების შესახებ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. შეხვედრა შედგა „აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონული პროექტის საჯარო ადმინისტრირების რეფორმისთვის ფაზა III-ის“ ფარგლებში;
- ნატო-საქართველოს 2026 წლის წლიური ეროვნული პროგრამის (Annual National Programme/ANP) დოკუმენტში აისახა სსიპ — ციფრული მმართველობის სააგენტოს აქტივობები;
- გაიმართა სამუშაო შეხვედრები მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან საქართველოში ღრუბლოვანი სერვისების განვითარების საკითხზე;
- ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ბუდაპეშტში, უნგრეთის იუსტიციის სამინისტროში გამართულ გაცნობით შეხვედრაში, სადაც შეთანხმდნენ პირდაპირი თანამშრომლობასა და ერთობლივი პროექტების დაგეგმვაზე;
- ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანიზაციების რიგით 33-ე ევროპულ კონფერენციაში, სადაც სააგენტოს წარმომადგენელმა ისაუბრა ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი და ეთიკური მხარეების შეპირისპირების საკითხის შესახებ.



- საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით „ევროკომისიის 2025 წლის გაფართოების ანგარიშის“ მეექვსე (Establishment, trade in services and electronic commerce) და მეათე თავებით (Digital Transformation and Media - ასევე, eIDAS რეგულაცია) გათვალისწინებული რეკომენდაციების თაობაზე, მომზადდა ინფორმაცია სააგენტოს მიერ განხორციელებული და დაგეგმილი სამუშაოების შესახებ;
- ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს შავი საქართველოს, როგორც ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) თავმჯდომარის სამოქმედო პრიორიტეტების შემუშავების პროცესში, აგრეთვე BSEC-ის ინფორმაციული ტექნოლოგიების საკითხზე სამუშაო ჯგუფის სხდომაში;
- მომზადდა კომენტარები ჟენევაში მიმდინარე გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს (UN HRC) 59-ე სესიის ფარგლებში ინიცირებულ ახალ რეზოლუციაზე: „Enhancing International Cooperation, Technical Assistance, and Capacity-Building for the Protection of Children in the Digital Environment“;
- მომზადდა ინფორმაცია საქართველო-ევროკავშირის ადამიანის უფლებათა დიალოგისთვის (HRD) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე.
- ციფრული მმართველობის სააგენტოს თავმჯდომარე და მოადგილე იუსტიციის მინისტრის დელეგაციასთან ერთად მონაწილეობდნენ გაეროს საჯარო სერვისების ფორუმში, რომელიც მიეძღვნა საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდასა და საჯარო მმართველობაში ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის ხელშეწყობას;

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ანდორას სამთავროს ციფრული ტრანსფორმაციისა და ტელეკომუნიკაციის საკითხებში სახელმწიფო სამდივნოს შორის ციფრული ტექნოლოგიების, ელექტრონული მმართველობის, ხელოვნური ინტელექტისა და კიბერუსაფრთხოების სფეროებში თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი; ორი ქვეყნის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლობებს შორის სამომავლო თანამშრომლობისთვის გაიმართა რამდენიმე შეხვედრა და გამოიკვეთა პრიორიტეტული მიმართულებები: ანალიტიკური და სამართლებრივი საკითხები, ინფორმაციის გაცვლა საჯარო სერვისების მიწოდების სისტემებისა და მათი ეფექტურობის შესახებ, ციფრულ მმართველობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ბაზასა და სტრატეგიული დოკუმენტების თაობაზე ეროვნულ CERT გუნდებს შორის თანამშრომლობა;
- ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ეუთოს (OSCE) კიბერუსაფრთხოების სფეროში ნდობის და თანამშრომლობის ხელშეწყობის ჯგუფის (CBM8) ეროვნული მეკავშირეების (PoC) შეხვედრაში ქ. ვენაში;

ციფრული მმართველობის სააგენტოს შესაბამისი დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ შემდეგი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესში:

- ეუთოს კითხვარები კრიტიკული ინფრასტრუქტურის (CBM 15) და მოწყვლადობის (CBM 16) შესახებ;
- მსოფლიო ბანკის კითხვარი „GovTech Maturity Index“;
- OECD-ის "2025 EC-OECD Science, Technology and Innovation Policy (STIP) Survey";
- გაეროს ელექტრონული მმართველობის კითხვარი (ელექტრონული მმართველობის განვითარების გლობალური ტენდენციებისა და არსებული გამოწვევების შეფასება);
- ადამიანით ვაჭრობის საკითხებში ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) მომზადებული შეფასების მე-4 რაუნდის ანგარიშის პირველადი ვერსიის რევიზია.

4 კვლევითი საქმიანობა

- ციფრული მმართველობის სააგენტო კომპეტენციის შესაბამისად ჩართულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროექტში - „მონაცემთა და ღრუბლოვანი ბაზრის შეფასება სამხრეთ კავკასიაში“ (TERMS OF REFERENCE FOR A DATA AND CLOUD MARKET ASSESSMENT IN THE SOUTH CAUCASUS);
- მომზადდა წინადადებები დოკუმენტზე — „მონაცემთა მართვის შეფასება საქართველოსთვის“ (EU4Digital/Data governance assessment for Georgia).
- EU4Digital-ის პროექტის ფარგლებში, აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების პროგრესის შეფასების მიზნით, მომზადდა წინადადებები სანდო მომსახურებისა და ტრანსსასაზღვრო ციფრული სერვისების მიმართულებით შემუშავებულ ინდიკატორებთან დაკავშირებით;
- სააგენტოს მანდატის ფარგლებში, მომზადდა კომენტარები გაეროს (UNDP Kaz/ACSH) მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ დოკუმენტზე „საქართველო: ხელოვნური ინტელექტის მმართველობის ქვეყნის პროფილი“ (GEORGIA: AI governance country profile);
- სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში, მომზადდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის მასშტაბით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ სიტუაციური ანალიზი;
- ხელოვნური ინტელექტის სფეროში ევროპის საბჭოს საქმიანობის შეფასების მიზნით, გაიმართა ინტერვიუ ევროპის საბჭოს შიდა ზედამხედველობისა და შეფასების დირექტორატის წარმომადგენლებთან.

5 სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის საქმიანობასა და ღონისძიებაში მონაწილეობა

ციფრული მმართველობის სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის საქმიანობის პროცესსა და შეხვედრაში, მათ შორის:

- ევროკავშირის პროექტი ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული (ქბრბ) უსაფრთხოების შესახებ - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;
- სახელმწიფო სერვისების კატალოგის შექმნის სამუშაო ჯგუფი;
- კიბერუსაფრთხოების 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგიის განხორციელებისა და 2025-2027 წლების ეროვნული სტრატეგიის შემუშავების სამუშაო ჯგუფი;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭო;

- ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი - თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი, შსს;
- ერთი სარკმლის პრინციპით სერვისების მიწოდება - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;
- პორტების გაციფრულების პროექტი - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;
- ადამიანით ვაჭრობის საკითხებში ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) შემფასებელი მისია - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- ინკლუზიის სტრატეგიის სამუშაო ჯგუფი - კომუნიკაციების კომისიის ციფრული სოფლის გაძლიერება ციფრული ინკლუზიით - REDI;
- ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (TRACECA) გაციფროვნების საკითხებზე შეთანხმების პროექტთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფი.

სააგენტოს საქმიანობის ანგარიშგებისა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ინფორმირების მიზნით სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ღონისძიებებში:

- UNDP საქართველოს ორგანიზებით გამართულ სამუშაო შეხვედრაში - პროექტის "საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა - ფაზა 2" შეჯამება;
- კონფერენცია EuroDIG (European dialogue on Internet Governance), რომელიც მიზნად ისახავს საჯარო მმართველობის სფეროს მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტებისა და პრინციპების შესახებ საუკეთესო პრაქტიკის მხარდაჭერას, ალტერნატიული მიდგომების შესახებ მოსაზრებების ურთიერთგაზიარებას;
- „უსაფრთხო ინტერნეტის დღე 2025“;
- ეროვნული დონის უწყებათაშორისი სწავლება „დიდგორი 2025“;

- სამუშაო შეხვედრა “ქსელებისა და ინფორმაციული სისტემებისთვის უსაფრთხოების შესახებ” ("Study Trip on the status of alignment of Eastern Partnership National Legislations with NIS2”).
- „ბავშვთა უფლებები და ციფრული გარემო, ხელოვნური ინტელექტი: გამოწვევები და შესაძლებლობები ბავშვებისთვის“;
- “ქართულ-სომხური სამართლებრივი ფორუმი”;

- “ვაჭრობისა და ტრანზიტის ხელშემწყობის მე-20 საერთაშორისო სემინარი”;
- “საერთაშორისო სიმპოზიუმი - “მდგრადი განვითარების ხელშეწყობა ინოვაციური ეკოსისტემების პოლიტიკის გამოყენებით”;
- კონფერენცია - “Empowering Through Digital Technologies;
- აზიის განვითარების ბანკის მიერ გამართული შეხვედრა “Model Law on Electronic Transferable Records”-ის ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციაზე;
- მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების 33-ე ევროპულ კონფერენციაში (European Conference of Data ProtectionAuthorities – Spring Conference);
- თბილისის პირველი საერთაშორისო კიბერუსაფრთხოების კონფერენცია (TICC), თემაზე კიბერუსაფრთხოება საჯარო სექტორში;

- ფინტექის განვითარების ეროვნული სტრატეგიის პირველ პანელურ სესიაში - „Collaborative efforts from Public Stakeholders“;
- “Digital Transformation 2025”, ქ. სკოპიე, მაკედონია;
- კორეა-„ბისეკ“-ის „ციფრული მთავრობის თანამშრომლობის პროგრამა“, ქ. სეული, სამხრეთ კორეა.

6 ადამიანური რესურსების მართვა

სააგენტოს თანამშრომელთა პროფესიული ზრდისთვის სხვადასხვა მიმართულებით ჩატარდა ტრენინგები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები:

- ,,ეფექტიანი კომუნიკაცია და მომსახურება" – 15 თანამშრომელი;
- ,,ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე ტენდენციები, სიახლეები და საუკეთესო პრაქტიკები" - 1 თანამშრომელი;
- ,,ადამიანური რესურსების მართვის კურსი" - 1 თანამშრომელი;
- ტრენინგი თემაზე „მეწარმეობის ხელშეწყობა ციფრული ტრანსფორმაციის გზით";
- ტრენინგი მთავრობის ადმინისტრაციაში პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების ელექტრონული სისტემის (PDCEMS) გამოყენებაზე.

7 საზოგადოებასთან ურთიერთობა

- სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა 24 საინფორმაციო რელიზი;
- განახლდა სპეციალური გვერდი „კითხვა-პასუხები კიბერუსაფრთხოების შესახებ“ (dga.gov.ge/cyber), სადაც ინფორმაცია ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობების: აფხაზურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე;
- „Facebook“ გვერდი: გამოქვეყნდა 79 საინფორმაციო პოსტი და სხვა სახის ინფორმაცია;
- „ფეისბუქის“ შედეგები: სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს „Facebook“ პოსტების ნახვის რაოდენობა 3 მილიონზე მეტია;
- მომზადდა და სატელევიზიო ეთერებით გავიდა 4 სიუჟეტი სააგენტოს საქმიანობის და სერვისების შესახებ;
- საინფორმაციო სააგენტოების მეშვეობით გავრცელდა 20 საინფორმაციო რელიზი;

- ვებგვერდის ვიზიტორები: სააგენტოს ვებგვერდზე ვიზიტორთა რაოდენობამ 55 000-მდე შეადგინა;
- განხორციელდა კიბერუსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების საინფორმაციო კამპანია. დამზადდა შესაბამისი ფოტო, ვიდეო და გრაფიკული მასალა;
- განხორციელდა ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის my.gov.ge შესახებ ცნობადობის ამაღლების საინფორმაციო კამპანია. დამზადდა შესაბამისი ფოტო, ვიდეო და გრაფიკული მასალა.



8 საფინანსო საკითხები

მაჩვენებელი	საკუთარი სახსრები	საბიუჯეტო ასიგნება
დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმა	18 772 000	6 895 000
საკუთარი შემოსავლების გეგმა	15 055 000	-
ფაქტიური საკუთარი შემოსავლები	15 908 982.63	-
გადასახდელები	17 678 436.22	6 893 099.54
ნაშთი 31.12.2025-ის მდგომარეობით	1 969 346.27	-



იუსტიციის
სამინისტრო

ციფრული
მმართველობის
სააგენტო